აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 81

11 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმი (ფორმა №1-07.55.02);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმი (ფორმა №1-07.56.02);

გ) საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07.57.02);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა №1-07.58.02);

ე) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი (ფორმა №1-07.59.02);

ვ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი (ფორმა №1-07.60.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია